ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 279 (6) 9 მარტი, 2015 წ

გილოცავთ!

გაზაფხულის შემობრძანებასა და მარტის ულამაზეს დღესასწაულებს – დედის დღესა და ქალთა დღეს – გილოცავთ, ძვირფასო ქალბატონებო! თქვენ ხომ უფლისაგან გამორჩეულები ბრძანდებით იმ მისიით, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

დაე, სიკეთემ, ჯანმრთელობამ, თქვენი რუდუნებითი შრომის ღირსეულად შეფასებამ უწინამძღვროს თქვენი ლამაზი ცხოვრების ყოველ დღეს. გფარავდეთ ღვთისმშობელი!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი
კობა ლურსმანაშვილი

ჩავკიდოთ ხელი ერთმანეთს და ისე ვიბრძოლოთ ხვალინდელი დღისათვის

უკვე ორი წელია, რაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი კობა ლურსმანაშვილიაა. ეს დრო ცოტა არაა იმისთვის, რომ რაიონში მნიშვნელოვანი ძვრები დაწყებულიყო, ბევრი კარგი და საჭირო პროექტი განხორციელებულიყო. რა გააკეთა ხარაგაულის ხელისუფლებამ ორი წლის განმავლობაში და კიდევ რის გაკეთებას გეგმავს, მუნიციპალიტეტის გამგებელი თავად გვესაუბრება.

- ბატონო კობა, რა ცვლილებები განხორციელდა ხარაგაულში თქვენი მოსვლის შემდეგ?

- 2013 წლის თებერვლიდან შევუდექი საქმიანობას. იმ დროიდან მოყოლებული, შემიძლია, ბევრი სიახლე გამოვყო. პირველ რიგში, აუცილებლად უნდა ვისაუბრო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც ძალიან მასშტაბური იყო. რეაბილიტაცია ჩაუტარდა და დაბის ქუჩების 80% უკვე მოასფალტებულია. რეგიონალური განვითარების ფონდის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, ბევრ სოფელში შევძელით გზების შეკეთება. მიმდინარე წელს უკვე დასრულდება კიცხიხიდრის გზის რეაბილიტაცია, ასევე ერთი ნაწილი დასრულებულია და მალე ექსპლუატაციაში შევა ფარცხნალისკენ მიმავალი გზა. დაგეგმილია ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციაც. არ შეიძლება არ აღინიშნოს ძირულა-ჩუმათელეთის გზის მოასფალტების პროექტი, რომელიც აზიის განვითარების ბანკიდან ფინანსდება. საპროექტო სამუშაოები თითქმის დასრულების პროცესშია და, სავარაუდოდ, 2015 წლის დასასრულს კონკრეტული სამუშაოების დაწყება იგეგმება. ვაპირებთ ზვარის ახალგაზრდული ბანაკის აღდგენას და ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალ შენობაში განთავსებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ის, რომ ხარაგაულში დაახლოებით 400 კვ. მეტრზე დაიწყო ამბულატორიის მშენებლობა. ამბულატორიის დასრულების შემდეგ იქვე იგეგმება სტაციონარის მშენებლობაც. წიფაში ავაშენეთ ახალი ამბულატორია. უახლოეს მომავალში ახალი ამბულატორია ექნება სარგვეშის მოსახლეობასაც. ასევე დაბაში დაგეგმილია ერთ-ერთი შენობის რეაბილიტაცია, სადაც სასწრაფო-სამედიცინო სამსახური განთავსდება.

გასული წელი გამორჩეული იყო საბავშვო ბაღების აშენების სიმრავლით. ხარაგაულში აშენდა და რეაბილიტირებულ იქნა 6-ზე მეტი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. ახალი საბავშვო ბაღი მალე გაიხსნება ხიდარშიც. საერთო ჯამში, ბოლო ორი წლის განმავლობაში აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად არანაკლებ მილიონნახევარი ლარი დაიხარჯა. გაიზარდა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ბიუჯეტი, მოწესრიგდა ბავშვთა კვების რაციონი და ახლა იქ სამჯერადი კვებაა.

აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები უბისაჰესის მშენებლობაზე. ინვესტორი აღნიშნული პროექტისთვის 12 მილიონ ლარს ხარჯავს.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ხევის მსგავსად ღორეშაშიც მოეწყობა საზოგადოებრივი სახლი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება 200-ზე მეტი სერვისით ისარგებლოს სოფლიდან გაუსვლელად. მათ შორის, საბანკო სერვისებითაც. ასეთივე საზოგადოებრივი სახლის მშენებლობა გვაქვს დაგეგმილი კიცხსა და მოლითში.

- როგორ უნდა განვითარდეს მუნიციპალიტეტი, რომელი დარგია ყველაზე წარმატებული და პერსპექტიული?

- ხარაგაულს სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა, ამ მხრივ, სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი. მსურს ხაზი გავუსვა იმ ინი-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებო ქალბატონებო!

მარტის ულამაზეს დღესასწაულებს – დედისა და ქალთა დღეს გილოცავთ, ძვირფასო ქალბატონებო, სითბო, სიფვარული და ბედნიერება იყოს მუდამ თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

გწამდეთ, ჩემი მოღვაწეობის ყოველდღიური ჯროგრამა თქვენი ხვალინდელი დღის გალამაზებისკენაა მიმართული.

იდღეგრძელეთ, იხარეთ, იბედნიერეთ!

ჯატივისცემით,

ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი
ვარლამ ჭიპაშვილი

ახალი საბავშვო ბაღი წყალაფორეთში

5 მარტს, საზეიმო ვითარებაში, იმერეთის მხარის ახლად დანიშნულმა გუბერნატორმა, ბატონმა, გივი ჭიჭინაძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა ნოდარ ებანოიძემ და სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ქალბატონმა ირმა სებისკვარეძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალაფორეთში რიგით მეხუთე საბავშვო ბაღი გახსნეს. წყალაფორეთის ტერიტორიულ ერთეულში ძველი ავარიული საბავშვო ბაღი, ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აგებულმა შენობამ ჩაანაცვლა, ინვენტარიც საკმაოდ ხარისხიანი და კომფორტულია. ყოველივე ეს კი რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. ბაღში ამ ეტაპზე აღსაზრდელთა რაოდენობა თერთმეტს შეადგენს.

ადგილზე მისულებს ძალზე თბილი და ოჯახური გარემო დაგვხვდა. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები და ადგილობრივი და სამხარეო ხელისუფლების წარმომადგენლებისგან საჩუქრებიც დაიმსახურეს. გუბერნატორმა საბავშვო ბაღს პირადად გადასცა წმინდა გიორგის ხატი და მარადჟამს მისი მფარველობა უსურვა. „დღეს ძალიან ლამაზი დღეა, ვიმყოფებით ხარაგაულის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ წყალაფორეთში, სადაც კიდევ ერთი საბავშვო ბაღის გახსნას დავესწარით. მთავრობის პრიორიტეტია საბავშვო ბაღების მშენებლობა მუნიციპალიტეტებში და ხარაგაული ამ მხრივ სწორედ რომ მოწინავეა. ბავშვებზე და მომავალ თაობაზე ზრუნვა ჩვენი პირველი საფიქრალია და ის კეთილი საქმე, რასაც ბაღების მშენებლობა ჰქვია, ამის თვალსაჩინო მაგალითია. დარწმუნებული ვარ პერსპექტივაში კიდევ ბევრი ბაღის აშენება იგეგმება და ამას სულით და გულით მივესალმები“ – აღნიშნა ბატონმა გივი ჭიჭინაძემ.

კომენტარი გააკეთა ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბატონმა ნოდარ ებანოიძემ და ხაზი გაუსვა იმას, რომ მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ბაღების მშენებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. „ხარაგაულში აქტიურად მიმდინარეობს ამ კუთხით მშენებლობები და კარგი იქნება, თუ ეს მომავალშიც გაგრძელდება,“ – აღნიშნა მან.

მუნიციპალიტეტის გამგებლის კობა ლურსმანაშვილის თქმით: „დღეს მუნიციპალიტეტის მასშტაბით რიგით მეხუთე ბაღი გავხსენით. მისი მშენებლობა 2014 წელს დაიწყო და უკვე გვაქვს თანამედროვე სტანდარტებს მისადაგებული, ლამაზი, გარემონტებული, მოწესრიგებული შენობა. უახლოეს მომავალში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნება ხიდარში და მოგვიანებით – ზვარეშიც. ბაღების მშენებლობის ტენდეციას გავაგრძელებთ და ვიზრუნებთ, რომ ყველა ტერიტორიულ ერთეულში იყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. ყოველივე ეს, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს სოფლიდან ქალაქისკენ მიგრაციის პროცესს. ღმერთმა გვიმრავლოს პატარები, ხოლო ჩვენ, ჩვენი მხრივ, მათზე ზრუნვას და ენერგიას არ დავიშურებთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ბავშვებს ღირსეული მომავალი შევუქმნათ“.

თეა ბერიძე

„როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, კეთილი ინებეთ და უზრუნველყავით ბიუროსა და საკრებულოს სხდომების რეგლამენტის დაცვით წარმართვა“

2 მარტს გამართულ საკრებულოს სხდომაზე, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, როინ გელაშვილმა, წარმოადგინა პროექტი მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ქონების ჩამოწერის წესის შესახებ. საკითხის განხილვამ დეპუტატებს შორის ხმაური გამოიწვია. მათი თქმით, არც ერთ კომისიას იგი არ განუხილავს და ამის გამო, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, საკრებულოს წევრებს მოუწოდა საკითხის მხარის დაჭერისაგან თავი შეეკავებინათ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ განმარტა, რომ ბიურო იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის კომისიებს დაევალოს ამა თუ ის საკითხის განხილვა. მან ბიუროს წევრებს საკუთარი პასუხისმგებლობის კარგად გათავისებისაკენ მიუთითა.

„ქალბატონო ინგა, თქვენ ბრძანდებით საკრებულოს თავმჯდომარე, შესაბამისად, დავალებებიც თქვენგან უნდა მოდიოდეს. თუ ამას ვერ აკეთებთ, გვეცოდინება და სხვაგვარად მოვიქცევით. ბიუროს წევრები, პასუხისმგებლობას ნამდვილად არ გავურბივართ“ – მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა.

„ყველა საკრებულოს სხდომაზე ნუ გვიკითხავთ მორალს“ – განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა. – „ჩვენ კარგად ვიცით, რა უფლება-მოსილება გვაკისრია და, ვფიქრობ, პირადად მე ამას კარგად ვასრულებ. თქვენ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, კეთილი ინებეთ და ბიუროსა და საკრებულოს სხდომების რეგლამენტის დაცვით წარმართვა უზრუნველყავით“.

ქალბატონმა ინგამ წარმოდგენილი საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნაზე გააკეთა აქცენტი, რამაც დეპუტატების ნაწილის წინააღმდეგობა გამოიწვია. საბოლოოდ, უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციისა და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის პროექტს.

ეკა შავიძე

ჩავკიდოთ ხელი ერთმანეთს და ისე ვიბრძოლოთ ხვალინდელი დღისათვის

◀ 1 ბბ.

ციატივებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ცენტრალური ხელისუფლებიდან მოდის.

სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი პროექტია „დანერგე მომავალი“, რომელიც პრემიერ-მინისტრმა დაიწყო. თუ ჩვენი მოქალაქეები დაინტერესდებიან და მათ აქვთ თავისუფალი სასოფლო-სამურნეო მიწები, თავისუფლად მოახერხებენ ჩაერთონ ამ პროექტში. მხედველობაში გვაქვს ისეთი ახალი ნერგების გაშენება, რომლებიც საკმაოდ მოსავლიანი იქნება. ვგეგმავთ ნიადაგების შესწავლას, რის შემდეგაც გავცემთ რეკომენდაციებს თუ რომელ ნიადაგზე რომელი კულტურა უფრო ნაყოფიერია. ასევე უახლოეს მომავალში შემოვიტანთ ლაბორატორიულად შემოწმებულ ბიოპრეპარატებს, რაც დადასტურებულია, რომ საკმაოდ ზრდის მოსავლიანობას. სოფლის მეურნეობის კუთხით, ეს აქტივობები გათვლილია იმაზე, რომ ჩვენმა მოსახლეობამ უფრო მეტი მოსავალი მიიღოს.

- რამდენად შესძლო გლეხმა სასოფლო-სამეურნეო ბარათებით სარგებლობა და როგორ გაამართლა აღნიშნულმა პროგრამამ რაიონში?

– ამ პროექტის განხორციელებამ ჩვენს მოსახლეობას ძალიან გაუადვილა ხვნა-თესვის პროცესი. მესამე წელია, რაც ვაუჩერებით სარგებლობს მოსახლეობა და ამ კუთხით ძალიან კმაყოფილები არიან. დაიხნა ისეთი ადგილები, რომლებიც წლების განმავლობაში აუთვისებელი იყო.

– ბატონო კობა, ნაპირსამაგრი ნაგებობები რამდენადაა მოწესრიგებული?

– გასულ წლებში, ამ მიმართულებით, საკმაოდ დიდი თანხები დავხარჯეთ. მდინარე ჯიხველას და ძირულას ხეობაში განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები. ამ კუთხით პრობლემები კვლავ არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე რაიმე განსაკუთრებული საფრთხე არ გვემუქრება.

– მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარებისთვის, კულტურულ-სპორტული ღონისძიებების მოწყობისთვის რა აქტივობები მიმდინარეობს ხარაგაულში?

– მოგახსენებთ, რომ ამ კუთხით განსაკუთრებით აქტიურია ხარაგაულის მოსახლეობა. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან კულტურული ღონისძიებებისთვის საკმაოდ დიდი თანხება გამოყოფილი. ვფიქრობ, რომ ხარაგაულის კულტურის სფერო ნამდვილად იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. აქ ფუნქციონირებს 2 თეატრი, არის მრავალი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ჯგუფი, რომლებიც საკმაოდ წარმატებულები არიან. 2 წელია ზედიზედ მონაწილეობენ ხარაგაულელი ბავშვები პროექტ „ეტალონში“ და საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგებიც აქვთ.

მას შემდეგ, რაც ხარაგაულის სპორტული კომპლექსი შევიდა ექსპლუატაციაში, იქ ბევრი ღონისძიება იმართება. მიმდინარეობს სპორტის ინდივიდუალურ სახეობებზე პრიორიტეტების განსაზღვრა. მიხარია, რომ ხარაგაულში აღდგა ჭიდაობის ძველი ტრადიციები და ჩვენ, დღეს, 4 ნაკრების წევრი მოჭიდავე გვყავს. საფეხბურთო გუნდი „ჩხერიმელა“ პირველ ლიგაში ინარჩუნებს ადგილს და მათ ფინანსური კუთხით აქტიურად ვუჭერთ მხარს.

- როგორ ჩაიარა თანამშრომლების შესარჩევმა ტურმა, რაიმე ექსცესს ხომ არ ჰქონია ადგილი?

- ჯერ მხოლოდ კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდა და ხარაგაულის მასშტაბით თანამდებობებზე 62 მოხელეა დანიშნული. მათ წარმატებით გაიარეს კონკურსის ყველა ეტაპი. სამომავლოდ კიდევ 42 საშტატო ერთეულზეა დაგეგმილი კონკურსის გამოცხადება. რაც შეეხება ექსცესებს, სულ დარეგისტრირებული იყო 500-ზე მეტი მოქალაქე და საპრეტენზიო კომისიაში არცერთი პრეტენზიის წერილი არ დაფიქსირებულა. რაც თამამად გვათქმევინებს იმას, რომ ხარაგაულში კონკურსების ჩატარებით უკმაყოფილო არავინ ყოფილა. ყველა პროფესიონალისთვის გზა ხსნილია.

– ბატონო კობა, მცირე ბიზნესის განვითარებისთვის რა კეთდება ხარაგაულში, იგეგმება თუ არა გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა?

- ამ ეტაპზე, აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები რძის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნაზე. საწარმო სავარაუდოდ სოფელ კიცხში განთავსდება. საუბარია ასევე ხილ-კენკროვანის გადამამუშავებელი და წვენების ქარხნის გახსნაზეც. ვმსჯელობთ მეჯოგეობის განვითარების კუთხით შევქმნათ ფერმერული მეურნეობები. ზემოთ ხსენებული ძირულა-ჩუმათელეთის გზის დაგება თავისთავად გამოიწვევს სხვადასხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმოქმნას, ასევე სასტუმროების ქსელის შექმნას, რაც გარკვეულწილად დაასაქმებს ჩვენს მოსახლეობას. შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და შემოსავლებს.

– რომელია სოფლის მეურნეობის ძირითადი საექსპერტო პროდუქტი?

– რაც შეეხება საექსპორტო პოტენციალს, თუ ხარაგაულში ხე-ტყეზე ხელმისაწვდომობა გაიზრდება, მსუბუქი მრეწველობით შეიძლება შეიქმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც ექსპორტზე იქნება გატანილი. ასევე საექსპორტო პოტენციალი გვაქვს მრეწველობის თვალსაზრისით სხვადასხვა დონეზე. მაგალითად ექსპორტზე შეგვიძლია გავიტანოთ მარმარილო, ზვარის მინერალური წყალი. მეაბრეშუმეობის აღდგენა და განვითარებაც გაგვიზრდის საექსპორტო პოტენციალს.

– თქვენი სამომავლო გეგმები...

- ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის განხორციელებასაც ვგეგმავთ, სპეციალური სასწავლებლის ჩამოყალიბებაა, რათა ხარაგაულის მოსახლეობა კონკრეტულ სპეციალობებს დაეუფლოს. ამ კუთხით წინადადებების განხილვა მიმდინარეობს. ვფიქრობთ, წინ წამოვწიოთ ისეთი სპეციალობები, რომლებიც მივიწყებული ან დეფიციტურია. მაგალითად, საინტერესო დარგი იქნება მეაბრეშუმეობის შესწავლა, მოვამზადებთ აგრონომებს, შემდუღებლებს, გზის დაგების სპეციალისტებს.

ვგეგმავთ 18 წლამდე ასაკის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის კიცხის სკოლა-პანსიონში სპეციალური მომსახურების ცენტრის განთავსებას. ოჯახებს, რომლებიც წლებია ამ პრობლემით ცხოვრობენ და ამ კუთხით არანაირი ხელშეწყობა არ ჰქონდათ, მივცემთ საშუალებას აღნიშნულ ცენტრში პერიოდულად განათავსონ ბავშვები. მათ იქ მოემსახურებათ კვალიფიციური სპეციალისტები და ამით შეძლებენ კიდევ უფრო ახლოს მოახდინონ საზოგადოებაში ადაპტაცია და ინტეგრაცია.

გსმ პირებისთვის სამომავლოდ, დაბაში სპეცპანელები და ბილიკები მოეწყობა, რათა მათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება მიეცეთ.

მიმდინარეობს მუშაობა და უახლოეს მომავალში ვფიქრობთ ფუნქციონალურ დატვირთვას შევუცვლით სათნოების სახლს. გაცილებით მეტ ადამიანს მოემსახურება იგი, თუკი ამ კუთხით მომსახურებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტი შეისყიდის. თანხები დაიხარჯება უშუალოდ ბენეფიციარების ინტერესებზე და, ასე ვთქვათ, არა იქ დასაქმებულ ადამიანებზე. სადაც საჭიროებას დავინახავთ, ყველგან განვახორციელებთ შესყიდვებს.

მუნიციპალიტეტის გამგეობა, მთელი თავისი სამუშაო გუნდით, მიზნად ისახავს ბევრი კარგი სიახლე შესთავაზოს ხარაგაულს. ყველა ხარაგაულელს ვარწმუნებ, რომ მათ მიმართ აბსოლუტურად თანაბრობის პრინციპით ვართ განწყობილი. ჩვენი მიზანია, ადამიანებს ხელი შევუწყოთ მათი შესაძლებლობების განვითარებაში.

ყველამ ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს და ისე ვიბრძოლოთ ხვალინდელი დღისთვის, კარგი მომავლისთვის.

თეა ბერიძე

„რაც ამ საკრებულოში ხდება, მსგავსი არსად მინახავს“

2 მარტს გამართულ საკრებულოს სხდომაზე ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, შალვა ლურსმანაშვილმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 19 ნოემბრის N119 განკარგულებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია წარმოადგინა. მან, აუცილებლობიდან გამომდინარე, მოითხოვა აღნიშნული ჯგუფის მუშაობის ვადის გადაწევა მარტის ბოლომდე. ბატონი შალვას ინფორმაციით, ჯგუფი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო რეგულირების საკითხს სწავლობს.

დეპუტატი აკაკი მაჭავარიანი დაინტერესდა, ის ბრალდებები, რომლებიც ისმოდა სს „ავტოტრანსის“ მიმართ, დადასტურებულ იქნა თუ არა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილის თქმით, ბევრი ბრალდება არის დადასტურებული, რომელსაც უახლოეს მომავალში გაიგებთ. „ჩვენ ვართ სამუშაო ჯგუფი და არა პროკურატურა. თუ სისხლის სამართლის დანაშაული დაფიქსირდება, ამას შესაბამისი ორგანოები შეისწავლიან. ყველამ კარგად ვიცით, სწორედ თქვენმა პარტიამ დაიბარა სარგვეში-ხარაგაულის ხაზის მძღოლი ჯამბულ ბუხნიკაშვილი და ოფიციალურად მოსთხოვა კენჭი ეყარა დეპუტატად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურის დატოვებით დაემუქრეთ,“ – აღნიშნა ბატონმა ვარლამმა.

საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა: „ბატონო აკაკი, გამკვირვებია თქვენი მხრიდან ამ თემაზე ასე ღიად და საჯაროდ საუბარი. მოგეხსენებათ, დავით კირკიტაძეს რაზე წაუყენეს ბრალი - სახელმწიფო ქონების პირადი გამოყენება. თქვენს ადგილას, ძალზე ფრთხილად ვიქნებოდი, რადგანაც ბევრი დაადასტურებს როგორ გამოიყენეთ პირადი მიზნებისთვის „ამხანაგობის“ ტრაქტორები“.

„რამდენი დღე და საათი იმუშავა „ამხანაგობის“ ტრაქტორით, ყოფილმა დირექტორმა თქვენი საკალმახის მონყოობისათვის? გაქირავებული გყავდათ ტრაქტორები და ბიუჯეტში ერთ თეთრი არ შედიოდა. სად მიდიოდა ეს თანხები?“ – მიმართა ვარლამ (ტატო)თავზარაშვილმა აკაკი მაჭავარიანს.

აკაკი მაჭავარიანმა წამოყენებული ბრალდებები უარყო და მას აბსურდი უწოდა.

საბოლოოდ, დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს სამუშაო ჯგუფის მუშაობის ვადის გადაწევას.

საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ, განცხადება გააკეთა დეპუტატმა ჯამბულ გამცემლიძემ. მან საკრებულოს წევრებს ერთმანეთის პატივისცემისაკენ მოუწოდა. „მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს და რაც ამ საკრებულოში ხდება, მსგავსი რამ არსად მინახავს. იქნებ რაღაცნაირად შევჯერდეთ და ერთმანეთს პატივი ვცეთ. ჩემსავით „ერთიანი ნაცინალური მოძრაობა“ არა მგონია ვინმეს ეზიზღებოდეს, მაგრამ ესენი სხვა ადამიანები, ჩვენები არიან.“

ჯამბულ გამცემლიძის პოზიცია გაიზიარა იუზა კელენჯერიძემ და აღნიშნა:

„ხარაგაული ინტელექტუალური სამყაროა. სირცხვილია, საკრებულოს სხდომებიდან ასეთი ხმაური და აურზაური გადიოდეს. განსხვავებული აზრი ყველგანაა, მაგრამ ერთმანეთს პატივი ვცეთ და ურთიერთობები ვისწავლოთ.“

ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატის ვალერი ჭიპაშვილის განცხადებით, მისასალმებელია, რომ საკრებულოში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. არის დაპირისპირებაც და კამათიც, მაგრამ საერთო ჯამში, შეთანხმებამდე მაინც მივდივართ.

საუბრის ბოლოს ბატონმა ვარლამმა ყურადღება გაამახვილა სოფელში ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, „ელექტროსადენების ბოძები არის მოძველებული და ოდნავი ქარის დროსაც სოფელში დენი ითიშება. მესმის, რომ კერძო კომპანიაა და უშუალოდ ამ პრობლემის მოგვარება ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ რაღაც ზომები აუცილებლად უნდა მივიღოთ. მივმართოთ კომპანიას წერილობითი ფორმით და იქნებ შენიშვნა გაითვალისწინონ“.

ეკა შავიძე

დეპუტატებმა განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში მოისმინეს

2 მარტს მორიგი საკრებულოს სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითი განიხილეს. სხდომაზე განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, მარინა ვეფხვაძემ, გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში წარმოადგინა. მან დეტალურად ისაუბრა კომისიის საქმიანობის შესახებ და დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებსაც ამომწურავად უპასუხა.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო ა(ა)იპ-ების ფუნქციების დატვირთვა სოფლებში აუცილებელია.

ფრაქცია „ერთიანი-ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ა(ა)იპ „კულტურის ცენტრის“ თანამშრომლების ხელფასებთან დაკავშირებით. მისი თქმით, რამდენიმე ხნის წინ, ორგანიზაციას 22 ათასი ლარი მიეცა და ამ თანხით მხოლოდ თანამშრომლების ნაწილს მოემატა ხელფასი. თორნიკე ავალიშვილი ასევე შეეხო კინოთეატრის შენობაში წყლის ჩამოსვლის საკითხს, სტუდენტების დაფინანსებას და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, მაია დათუნაშვილის მიერ განხორციელებულ პროექტს – „ქალაქი-სოფელს“.

„ამ პროექტის განსახორციელებლად მაია დათუნაშვილს 5000 ლარი ჩაერიცხა. ხელთ არ გვაქვს არანაირი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ღონისძიება ჩატარდა. ზვარეში მცხოვრებ ნათია დალალიშვილს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სწავლის საფასურის გადახდას დაპირდით. თუმცა, ეს დაპირება არ შესრულებულა“ –აღნიშნა ბატონმა თორნიკე ავალიშვილმა.

მარინა ვეფხვაძის განმარტებით, „კინოთეატრის შენობაში წყალი ნამდვილად ჩამოდის, მაგრამ უახლოეს მომავალში ის აუცილებლად შეკეთდება. რაც შეეხება „კულტურის ცენტრის“ თანამშრომლების ხელფასების მომატებას, საქმის კურსში არ ვარ. მათ ყველაზე დაბალი ხელფასები აქვთ, სხვა ა(ი)პ-ებთან შედარებით და თუკი მოხდება ხელფასების ზრდა მივესალმები.“

მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის თქმით, „ქალაბატონი მაია დათუნაშვილის მიერ განხორციელებული პროექტის მიმართ შენიშვნები უსაფუძვლოა, რადგან აქტივობებისა და კანონიერების თვალსაზრისითაც, ყველაფერი წესრიგშია. რაც შეეხება კინოთეატრის შენობასთან დაკავშირებულ პრობლემას, ეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ უბარისხოდ ჩატარებული სამუშოების შედეგია. ჩვენ ეტაპობრივად ვაწესრიგებთ ყველაფერს და ეს პრობლემაც მალე მოგვარდება. ბატონო თორნიკე, თქვენ გაფუჭებულს, თავად აკრიტიკებთ.“

რაც შეეხება ნათია დალალიშვილის სწავლის დაფინანსებას, საქმეში კომპეტენტურმა, საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა, დავით კიკნაძემ განმარტა - „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კონკრეტულად არათუ ნათია დალალიშვილს, არც არავის დავპირებივართ სწავლის საფასურის გადახდას. სურვილი გვქონდა დავხმარებოდით სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, პროექტზე ვიმუშავეთ კიდეც, მაგრამ კანონის ფარგლებში ვერ ჩავჯექით. შეგახსენებთ, რომ 2014 წელს სწავლა უფასო გახდა 17 ფაკულტეტზე, ეს კი უკვე ერთგვარი შეღავთია სტუდენტებისათვის“.

დეპუტატებმა კენჭი უყარეს და დადებითად შეაფასეს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული ანგარიში.

ეკა შავიძე

ბაზალეთში მცხოვრებ ქეთევან თხელიძეს 100 წლის იუბილე ღონისძიებით მიულოცეს

6 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთში მცხოვრებ ქეთევან თხელიძეს, 100 წლის იუბილე მიულოცეს: მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა და ცენტრალური ბიბლიოთეკის ადმინისტრაციამ. ღონისძიებას ორგანიზებას, ცენტრალური ბიბლიოთეკის პატარა ხარაგაულის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი გულნარა ჭარბაძე უწევდა.

ქალბატონმა გულნარამ დიდი სიყვარულითა და მოწიწებით, გაგვაცნო ქეთავან თხელიძის მოკლე ბიოგრაფია და დიადი ღვაწლი. შეხვედრა უფრო შთამბეჭდავი გახადა ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „უბისმა.“

„დიდი სიყვარულით მინდა მოგილოცოთ 100 წლის იუბილე, დედათა და ქალთა დღე. ფასდაუდებელია თქვენ მიერ განვლილი ცხოვრების გზა. ის სიყვარული, რომელიც თქვენ მიმართ გარშემომყოფთაგან იგრძნობა, თქვენი დიდი დამსახურებითაა მიღწეული. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, კიდევ მარავალი დაბადების დღე მოგველოცოს თქვენთვის“ - მიმართა ქალბატონ ქეთევან თხელიძეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.

მისალოცი სიტყვა წარმოთქვა ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა: „ბაზალეთის სახელით გილოცავთ 100 წლის იუბილეს და მადლობას გიხდით იმ ღვაწლისთვის, რაც წლების განმავლობაში ხალხისთვის გაიღეთ. თითოეული ჩვენგანისთვის სამაგალითოა თქვენი ცხოვრება. რთულია იყო საქმის პროფესიონალი და ამავდროულად ღირსეული ადამიანი. ყოველივე ეს თქვენ მოახერხეთ, ქალბატონო ქეთევან, დიდი სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურეთ საზოგადოებაში. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს“.

ვარლამ ჭიპაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორს, გულნარა ჭარბაძესა და გამგებელ კობა ლურსმანაშვილს, ქალბატონი ქეთევანის დაფასებისთვის.

ბატონმა კობამ, ქალბატონ ქეთევანს სიმბოლურად ყვავილების თაიგული გადასცა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტისგან ქალბატონ ქეთევანს პირად ანგარიშზე 500 ლარი ჩაერიცხა. იუბილარს საჩუქრები უსახსოვრა ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ბატონმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა და მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსმა, ნანა კინაძემ.

ქეთევან თხელიძემ მადლობა გადაუხადა თითოეულ სტუმარს, მობრძანების, დაფასებისა და დიდი სიყვარულისთვის.

„ვინ წამიკითხავს ზღაპარს?“

დაბა ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში პროექტი „ვინ წამიკითხავს ზღაპარს“, უკვე რამდენიმე კვირაა მიმდინარეობს. დაბის საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ზღაპარს სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები უკითხავენ.

„პროექტის მიზანია, ბავშვებს პატარა ასაკიდანვე შეექმნათ გარკვეული და, ამასთანავე, დადებითი წარმოდგენა სხვადასხვა სპეციალობის მქონე ადამიანების მიმართ. მათში დადებით ემოციებს უნდა იწვევდეს ექიმიც, პოლიციელიც, დირექტორიც. ვფიქრობ, პროექტი ამის კარგი მაგალითი იქნება და რაც იდეის დონეზე ჩავიფიქრეთ, წარმატებით განხორციელდება. ჩვენ უკვე გვყავდა რამდენიმე სტუმარი და მათ მიერ წაკითხულმა ზღაპრებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე“ – გვეუბნება საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე ქალბატონი სოფო ლაცაბიძე.

2 მარტს საბავშვო ბიბლიოთეკაში მორიგი ზღაპარი მოვისმინეთ. ამჯერად ბავშვებს ზღაპრის მისეული ვერსია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის დირექტორმა, მამუკა ჭიპაშვილმა წაუკითხა. პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა ქალბატონმა ირინე ჩხეიძემ და ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთი პროექტებით ბავშვი უფრო დამოუკიდებელი და უშუალო ხდება. ისინი კიდევ უფრო ეჩვევიან საზოგადოებას, განიცდიან ადაპტაციას და ეხსნებათ გარკვეული კომპლექსები. მადლობა საბავშვო ბიბლიოთეკას, რომ ხშირად გვანებივებს ასეთი შემოქმდებითშემეცნებითი პროექტებით.

ბავშვები თავად ერთვებიან სხვადასხვა გზებით ზღაპრის წაკითხვაში, იღებენ მონაწილეობას ზღაპრის გმირების დახატვაში და ა.შ.

„მომავალში ვგეგმავთ, მოვიწვიოთ პოლიციელი, ექიმი, თავად ზღაპრების ავტორები, გვეუბნება სოფო და დასძენს, რომ მათთან შეხვედრა განსაკუთრებული იქნება ბავშვებისთვის, ჩვენ დავანგრევთ იმ სტერეოტიპს, რომელიც ადრე, ჩვენს ბავშვობაში არსებობდა. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველა ადამიანი განურჩევლად თავისი საქმიანობისა ამასთანავე ბავშვია“.

შექმნის თუ არა უბისაჰესის მშენებლობა ეკოლოგიურ საფრთხეს

მდინარე ძირულას ხეობაში, სოფელ უბისის ტერიტორიაზე, ჰესის მშენებლობა იგეგმება. საპროექტო სამუშაოები უკვე დასრულებულია და იგი საპროექტო კომპანია შპს „ჯორჯია ჰიდრო ფაუერმა“ განახორციელა. 2 მარტს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა. პროექტი კომპანიის დირექტორმა, ბატონმა შამილ ბირკაძემ თავად წარმოგვიდგინა და მის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა. „ჩვენი ძირითადი საქმიანობა ჰესების პროექტირება, საჭირო აღჭურვილობის შემოტანა, მშენებლობა და ბოლოს ექსპლუატაციაში გაშვებაა. კომპანიამ ბოლო სამი წლის განმავლობაში 4 ჰესი ააგო. 2013 წლის 22 ოქტომბერს ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს, რომელიც ორი ჰესის აშენებას გულისხმობს და აქედან ერთი უბისაჰესია. საპროექტო სამუშაოები იანვარში დავამთავრეთ, ხოლო მშენებლობის დასაწყებად კიდევ რამდენიმე ეტაპი გვაქვს გასავლელი. პირველ რიგში, საჭიროა მოვიპოვოთ ნებართვა გარემოს დაცვის სამინისტროდან. ჩვენ მათ ჩავაბარეთ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სწორედ დღეს წარმოგვიდგინეს 68 პუნქტიანი შენიშვნა“.

ჰესის ობიექტები ორ მუნიციპალიტეტს მოიცავს. სათავე უბისაში, რესტორან „ზღაპრიდან“ 300 მეტრში იქნება, ხოლო თავად ჰესის შენობა ზესტაფონის რაიონში, სოფელ პატარა განთიადში განთავსდება. სათავე ნაგებობა ჰესიდან დაშორებული იქნება 7.5 კმ-ით. ჰესის სიმძლავრე 7,6 მგვტ, ხოლო წლიური სიმძლავრე 35 მლნ კვტ სთ იქნება. გვირაბის სიგრძე კი-2900 მეტრი. რაც შეეხება გადამცემ ხაზს, იგი აშენდება სათავე ნაგებობიდან, მდინარე ძირულასა და ჩხერიმელას შესართავთან, გაუყვება მდინარის მარცხენა ნაპირს და გაგრძელდება ქვესადგურ წევას მიმართულებით მარჯვენა ნაპირზე. დამონტაჟდება დაახლოებით 20 საყრდენი ანძა. ჩვენ არ ვეხებით რკინიგზას, ვკვეთთ მხოლოდ საავტომობილო გზას.

უბისაჰესის მშენებლობისთვის ინვესტიცია ჩინურმა კომპანია „ჯორჯია შანჰე პაუერ ინვესტმენტმა“ გაიღო. მათ პროექტს შეფასება უკვე გაუკეთეს. აპრილ-მაისის თვეში დავამთავრებთ შესყიდვების საკითხს, ხოლო თუ გარემოს დაცვისა და ეკონომიკის სამინისტროდან მივიღებთ ექსპერტიზის დადებით შეფასებას, სამუშაოებს მაის-ივნისში დავიწყებთ.

გვირაბის აშენებისთვის აფეთქებითი სამუშაოები იქნება მცირემუხტიანი და ამას მოსახლეობა საერთოდ ვერ იგრძნობს. ობიექტზე დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, მშენებლობის პროცესში დაახლოებით 70 კაცი, ხოლო დასრულების შემდეგ 10-15 ადამიანი. ადგილობრივი მოსახლეობა თანახმაა, თუ მუშახელს მათ საცხოვრებელ სახლებში განვათავსებთ“.

აღსანიშნავია, რომ გვირაბი ჰესის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაგებობაა. სადაც გვირაბი გადის, იმ მინას შესყიდვა არ სჭირდება. აქ, უბრალოდ, ეკონომიკის სამინისტრომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით უნდა გასცეს ნებართვა მინის გაფორმებაზე.

მას შემდეგ რაც საპროექტო დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ პროექტის შესახებ საჯარო განხილვა მოისმინა, გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა.

შენიშვნა გამოთქვა ბორითის მაჟორიტარმა დეპუტატმა ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ:

„სოფლის მოსახლეობამ ამის შესახებ არაფერი იცის, თქვენ უკვე გადაგიწყვეტიათ, შეგითანხმებიათ, პროექტი დაგიმუშავებიათ და ჩვენ მხოლოდ ახლა ვიგებთ ამის შესახებ. ერთხელ უკვე გვაქვს მწარე გამოცდილება რკინიგზის მშენებლობის დროს, ნაცვლად მოსახლეობის დასაქმებისა ვიმკით იმას, რომ დღემდე ტალახში ვცურავთ. ვთქვათ და ჩვენ წინააღმდეგი ვართ, მერე რა მოხდება? წყლის პრობლემაც შეგვექმნება, ეკოლოგიური საფრთხეც დაგვემუქრება და ტაძარსაც მიადგება ზიანი. ჯერ მოსახლეობასთან უნდა შეთანხმებულიყავით და მერე დაგეწყოთ ამაზე ფიქრი“.

„ჩვენ, ჯერჯერობით, მხოლოდ საპროექტო სამუშაოები ჩავატარეთ და დღეს აქ ამის საჯარო განხილვაა“, - აღნიშნა შამილ ბირკაძემ. პროცედურულად ყველაფერი სწორად გავაკეთეთ. მშენებლობაზე ნებართვა ჯერ არ მიგვიღია. სწორედ ამიტომ ვართ დღეს თქვენთან. ყველამ წარმოადგინეთ თქვენი შენიშვნები, რათა შემდეგ გარემოს დაცვის სამინისტრომ განიხილოს. თუ სოფელი წინააღმდეგია უნდა დაასაბუთოთ რატომ.

კიდევ ერთხელ გიმეორებთ, დღეს სწორედ ამიტომ ვართ აქ, რომ მოვისმინოთ შენიშვნები, რათა გავითვალისწინოთ და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება. ეკლესიიდან სათავე ნაგებობამდე საკმაოდ დიდი მანძილია და საერთოდ რა შუაშია ეს ვერ გავიგე. ტაძართან არანაირი შეხება არ გვაქვს. რომელ ეკოლოგიურ საფრთხეზეა საუბარი, როგორ ფიქრობთ რამ უნდა გამოიწვიოს ეკოლოგიური სფრთხე. რაც შეეხება წყალს, მოსახლეობას წყლის საფრთხე ნამდვილად არ შეექმნება და სოფელ უბისის მოსახლეობას ისევ ისე ექნება წყალი როგორც აქამდე ქონდა. თქვენ ხართ დეპუტატი, და უნდა იცოდეთ, რომ ქვეყანას აქვს აღებული გეზი შექმნას ენერგეტიკული დამოუკიდებლობა რისი ერთ ერთი გამოვლინებაც ამ მდინარეზე ჰესის გაკეთებაა. ეს ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში დაგვეხმარება, და როცა ქვეყანას საკუთარი ენერგია ექნება, თანხებიც საკმაოდ დაიზოგება. მთავრობა მომავლისკენ იმზირება, პროგრესს ხელი არ უნდა შევუშალოთ. ერთი სიტყვით, ყველაფერ ამაზე ექსპერტები და სპეციალისტები დადებენ დასკვნებს და შეგიძლიათ გაეცნოთ“.

შეხვედრაზე გარემოს დაცვის სამინისტროს, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ირაკლი ფირცხალაშვილიც იმყოფებოდა. მისი თქმით, გარემოს დაცვის სამინისტროში, აქ წარმოდგენილი კომპანიიდან, შემოვიდა გზშ ანგარიში. მათ კანონმდებლობის მიხედვით ეს ანგარიში 15 იანვარს წარმოადგინეს. 45 დღიან ვადაში ჩვენ უნდა დაგვექირავებინა ექსპერტები და შეგვესწავლა მდგომარეობა. ეს ასეც მოხდა და დღეს მათ 68 პუნქტიანი შენიშვნები წარვუდგინეთ. ისინი ამ შენიშვნებს გააანალიზებენ, შეისწავლიან და როცა უკან დაგვიბრუნებენ, ამის შემდეგ მივიღებთ მშენებლობის ნებართვაზე დადებით ან უარყოფით პასუხს. ამ საკითხში ბევრი ექსპერტი იყო ჩართული, მუშაობდნენ ჰიდროლოგები, გეოლოგები, ბოტანიკოსები და ა.შ.“

შამილ ბირკაძის განმარტებით მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული ყველა შენიშვნა შესაბამისად იქნება გათვალისწინებული, რადგან გარემო პირობებზე ზემოქმედება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

ამ შეხვედრით აღნიშნულ პროექტზე მსჯელობა არ დამთავრებულა და იგი მომავალშიც გაგრძელდება.

თეა გერიძე

უფრო ბედნიერი ვიქნებოდი...

დედისათვის შვილის წარმატებით გამოწვეულ სიხარულს არაფერი შეედრება. უბედნიერესი იყო იმ დღეს დიდვაკეში მცხოვრები ქალბატონი ციალა ბერაძე – მაღლაკელიძე, როცა ის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ცენტრიდან მიღებულ სამადლობელ წერილს კითხულობდა:

„ქალბატონო ციალა, გილოცავთ დედის დღეს, დაესწარით მრავალს. დიდად ვაფასებთ თქვენი შვილის, სერჟანტ ნიკა მაღლაკელიძის მიერ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გასულ წლებში სამხედრო მოსამსახურის მოვალეობების ღირსეულად და სანიმუშოდ შესრულებას და გიხდით მადლობას.

აღსანიშნავია, რომ ნიკას, როგორც სამხედრო ინსტრუქტორ – მასწავლებელს, დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ცენტრში ახალგაზრდა რეკრუტების (მოქალაქეების) მომზადების სფეროში.

ნება მომეცით, გამოვხატო ღრმა პატივისცემა და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თითოეული ჩვენგანის ჩართულობა საქართველოსათვის ამ და სხვა პრიორიტეტულ საერთაშორისო მისიებში დადებითად აისახება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროზე.

ღმერთი გფარავდეთ თქვენ და თქვენს შვილს, ღმერთი ჰფარავდეს საქართველოს!“ პატივისცემით,

პოლკოვნიკი მურთაზ გუჯეჯიანი.

ნიკოლოზ (ნიკა) ფრიდონის ძე მაღლაკელიძემ 2004 წელს წარმატებით დაამთავრა ხარაგაულის N2 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა და 2008 წელს დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.

2010 წელს შევიდა საქართველოს შეიარაღებულ ძალთა რიგებში. უკვე მეხუთე წელია, მსახურობს საწყისი საბრძოლო მომზადების BST ცენტრში. არის ჯგუფის უფროსი ინსტრუქტორი, უაღრესად მობილიზებული, უნარიანი და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული ახალგაზრდა.

–მადლობა ჩემი შვილის უფროსებს, მთელ სამხედრო ხელმძღვანელობას ესოდენ დიდი სიხარულის მონიჭებისათვის, უბედნიერესი ვიქნებოდი, რომ ამ სიხარულს ჩემი ადრე წასული მეუღლე, ფრიდონ მაღლაკელიძეც, იზიარებდეს! – სევდიანად წარმოთქვა ქალბატონმა ციალამ და სამადლობელი წერილი სასოებით ჩაიხუტა გულში...

მერი გიორგიძე

„ხარაგაულში უდავოდ ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდები იზრდებიან“

27 თებერვალს ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას პიანისტი ალექსანდრე ვასაძე ესტუმრა. შეხვედრას ორგანიზებას სამუსიკო სკოლის დირექტორი ლალი ალექსიძე უწევდა. ალექსანდრე ვასაძემ გერმანელი კომპოზიტორის, პიანისტისა და დირიჟორის ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ცხოვრება – შემოქმედებაზე ისაუბრა. შეხვედრა კონცერტის სახით წარიმართა. ალექსანდრემ აღნიშნა, რომ ბეთჰოვენი მიუხედავად მრავალი მუსიკალური ნაწარმოების შექმნისა, მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ოპერის „ფიდელიოს“ ავტორია. მსმენელთათვის ბატონმა ალექსანდრემ ბეთჰოვენის ნაწარმოებები შეასრულა.

ღონისძიების დასასრულს, ალექსანდრე ვასაძემ, შთაბეჭდილებები გაგვიზიარა „ყოველთვის სიხარულით მომიწევს გული ხარაგაულისაკენ. ეს არის მესამე ღონისძიება, რომელიც ხარაგაულში ჩავატარე და კვლავაც გავაგრძელებ მსგავსი ხასიათის შეხვედრებს. მინდა აღვნიშნო, რომ ხარაგაულში უდავოდ ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდები იზრდებიან. მომწონს მათი დამოკიდებულება მუსიკისადმი. ვურჩევ უფრო მეტი იმუშაონ საკუთარ თავზე, რაც მათ მუსიკალურ შესაძლებლობათა გამოვლინებაში დაეხმარებათ.“

თამარ მაღრაძე

პაკო ამირან სვიმონიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია „ამირანი“

4 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სტუმრად იმყოფებოდა თბილისის მეექვსე საავტორო სკოლის პედაგოგი და პაკო ამირან სვიმონიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია „ამირანის“ საორგანიზაციო კომისიის წევრი, მარინა გოგოლაძე. პრემიის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით ისინი საჯარო სკოლებისა და გიმნაზიის წარმომადგენლებს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შეხვდნენ. ქალბატონმა მარინამ აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თანხის გადახდა და წინასწარი რეგისტრაცია საჭირო არაა მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო პრემიის დაარსების ისტორია და პრიზების შესახებაც ისაუბრა.

მეექვსე საავტორო სკოლის ინიციატივით დაარსდა ცნობილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის, ამავე სკოლის დამფუძნებლისა და პედაგოგის, პაკო ამირან სვიმონიშვილის სახელობის საყმაწვილო ლიტერატურული პრემია „ამირანი“. მისი მიზანი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და მათი პიროვნული და შემოქმედებითი წინსვლის მხარდაჭერაა . პროექტი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VII – XII კლასების მოსწავლეებისთვისაა გათვალისწინებული.მსურველებმა საკუთარი ნაშრომები შემდეგ ნომინაციებში უნდა წარმოადგინონ:

საუკეთესო პოეტური ნაწარმოებები;

საუკეთესო პროზაული ნაწარმოებები, ესე;

საუკეთესო თარგმანი (აუცილებელია თარგმანს თან ერთვოდეს დედანი).

მოსწავლეთა ნაშრომებს კომპეტენტური ჟიური განიხილავს. მაქსიმალური ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად პროექტით გათვალისწინებულია არა მხოლოდ ჟიურის წევრების, არამედ თითოეული მოსწავლის ანონიმურობის დაცვა. კერძოდ, მათთვის საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭების გზით.

გამარჯვებულები თითოეულ ნომინაციაში 2 ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდებიან.

პროექტის ავტორებისა და მხარდამჭერების მიერ გამარჯვებულთათვის სოლიდური ფულადი პრემია და ფასიანი საჩუქრებია დაწესებული. ლიტერატურული პრემია „ამირანის„ მხარდამჭერებია: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; კომპანია „წყალი მარგებელი“, „გოეთეს“ ინსტიტუტი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი; მაღაზია „წიგნები ვაკეში.“

ფინალისტებისა და, ასევე, სხვა საუკეთესო ნაწარმოებების ავტორების ნამუშევრები, პარტნიორი გამომცემლების მიერ დაიბეჭდება და წიგნად გამოიცემა. წიგნში შესულ ავტორებს პროექტის ფარგლებში შესაძლებლობა მიეცემათ, შეხვდნენ და კონსულტაციები გაიარონ ცნობილ ქართველ მწერლებთან, პოეტებთან და მთარგმნელებთან.

ნაშრომების მიღების ბოლო ვადა 2015 წლის 31 მარტია. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება 2015 წლის მაისში გაიმართება. აუცილებელია, კონკურსანტმა მიუთითოს საკუთარი სახელი, გვარი, ქალაქი (რაიონი) სკოლა და საკონტაქტო ტელეფონი. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა ნაშრომების მიღება წარმოებს ელექტრონულ მისამართზე: amirani.premia@gmail.com ან ფოსტით: მეექვსე საავტორო სკოლა, ლადო ასათიანის ქ.N28, თბილისი 0105. ტელ: 995 322 14 53 59

„ჩხერიმელას“ კიდევ ერთი წარმატება

28 თებერვალს საფეხბურთო გუნდმა „ჩხერიმელამ“, საქართველოს ჩემპიონატში მეორე კალენდარული შეხვედრა გამართა გუნდ „სასკოსთან“. თამაში ხარაგაულის სტადიონზე მიმდინარეობდა და ბევრი გულშემატკივარიც ესწრებოდა. თამაშის მეორე ტაიმში გიორგი გორდელაძემ მოწინააღმდეგის კარში ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. შეხვედრა მეტად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა და იგი ხარაგაულელთა უპირატესი გამარჯვებით დასრულდა: „ჩხერიმელა“ - „სასკო“ 1:0.

ანგარიში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2014 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2014 წლის წლიური ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 9562,7 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 9972,4 ათასი ლარის შემოსულობები, რაც გასული 2013 წლის წლიურ მაჩვენებლებს 1129,7 ათასი ლარით აღემატება (2013 წელში მიღებულია 8842,7 ათასი ლარის შემოსულობები) 2014 წლის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 104,3 პროცენტით და გეგმის ზევით მობილიზებულია 409,7 ათასი ლარი.

შემოსულობების წლიური გეგმა დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 5504.1 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, (სულ განხორციელდა 10 საბიუჯეტო ცვლილება) შემოსულობების გეგმა გაიზარდა 4058,6 ათასი ლარით და განისაზღვრა 9562,7 ათასი ლარით (ზრდა მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 3103,2 ათასი ლარით და საკუთარი შემოსულობების ზრდიდან 955,4 ათასი ლარით)

გადასახადებიდან, მათ შორის ქონების გადასახადი მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 855,4 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 977,0 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 80,0 ათასი ლარის ნაცვლად 85,8 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 2,0 ათასი ლარი და არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაგეგმილი 775,4 ათასი ლარის ნაცვლად 889,2 ათასი ლარი, ამასთან გასულ წელთან შედარებით მიღებულია 573,7 ათასი ლარით მეტი გადასახადები, 2013 წელში შემოსულია 281,7 ათასი ლარი)

აქვე უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული გადასახადის წლიური გეგმა დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 200,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მიერ მიღწეული იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი

სარკინიგზო მაგისტრალის განთავსების ზოლში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გაზრდილი - 1,5 კოეფიციენტით გადახდა, რამაც შესაძლებელი გახადა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის გაზრდა ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად.

გრანტები 2014 წელში დაგეგმილი იყო 7547,3 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 7493,3 ათასი ლარი. აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებული სრულად და შეადგენს 4306,1 ათას ლარს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ასევე მიღებულია სრულად 138,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, კერძოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 2333,0 ათასი ლარიდან მიღებული გვაქვს 2279,0 ათასი ლარი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით დაგეგმილი 770,2 ათასი ლარი მიღებული გვაქვს სრულად. სულ ფონდებიდან მისაღები ტრანსფერების გეგმას დააკლდა 54,0 ათასი ლარი, ვინაიდან სახ. ფონდებიდან თანხები მიღებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით. საქ. მთავრობის N 34 განკარგ. 13.01 2015ნ მიღებულია 1878,2 ათ ლარი და საქ. მთავრობის 13.01.2015 წ N 35 განკარგულებით მიღებულია 400,8 ათ ლარი.

სხვა შემოსავლების წლიური გეგმა განისაზღვრა 1149,0 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 1479,9 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, დაგეგმილზე 330,9 ათასი ლარით მეტი, რაც წინა 2013 წლის ფაქტიურ მაჩვენებელს 83,2 ათასი ლარით აღემატება, გასულ წელს ამ სახეში მიღებული გვაქვს 1396,7 ათასი ლარი; აქედან 2014 წელში ბანკიდან მისაღები პროცენტები დაგეგმილი 59,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 87,3 ათასი ლარი, ასევე დაგეგმილზე მეტი თანხებია მობილიზებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელში და დაგეგმილი 50,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 101,9 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან 15,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 30,0 ათასი ლარი და ჯარიმები, სანქციები და საურავები დაგეგმილი 1015,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული 1241,6 ათასი ლარი; მიუხედავად ახალმა კანონმდებლობის ამოქმედებისა გასულ წელთან შედარებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 74,0 ათასი ლარით გაიზარდა ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი; (2013 წელში ჯარიმებიდან მიღებულია 1167,6 ათასი ლარი), აქვე უნდა აღინიშნოს მუნიციპალიტეტის მიერ განული აქტიური მუშაობა ხელშეკრულებების დარღვევების შემთხვევაში მუნიციპალიტეტისათვის კუთვნილი თანხების ჩარიცხვებზე. აღნიშნული ფაქტების გამოვლენის შედეგად მუნიციპალიტეტისათვის გადახდილმა ჯარიმამ 95,7 ათასი ლარი შეადგინა. ადმინისტრაციული მოსაკრებელებისა და გადასახდელების გეგმის შესრულებას დააკლდა 3,1 ათასი ლარი და დაგეგმილი 10,0 ათასი ლარიდან შემოსულია მხოლოდ 6,9 ათასი ლარი;

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 2014 წელში მივიღეთ 12,2 ათასი ლარი, რომელიც არ დაგვიგეგმავს და ძირითადად შედგება უკან დაბრუნებული თანხებისაგან.

სულ სხვა შემოსავლების გეგმა დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 780,0 ათასი ლარი, გეგმა გაიზარდა სხვა შემოსავლების ცალკეულ სახეებში სულ 369,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 1149,0ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად როგორც ზევით აღინიშნა მიღებულია 1479,9 ათასი ლარი, რამაც მუნიციპალიტეტს მისცა საშუალება აეღო და შეესრულებინა დამატებითი ვალდებულებები.

არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი 11,0 ათასი ლარიდან შემოსულია 22,2 ათასი ლარი, აქედან 10,6 ათასი ლარი მიწების პრივატიზებიდან და 11,9 ათასი ლარი სხვადასხვა ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემოსულობებისა ხარჯების დაფინანსების წყაროდ 2014 წელში გამოყენებულია 2014 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთი, რომელიც განისაზღვრებოდა 2051,5 ათასი ლარით, მ. შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთი 1490,4 ათასი ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთი 561,1 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულმა ნაშთმა 2014 წლის ბოლოს შეადგინა 1140,7 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ფონდების ნაშთიდან ათვისებული იქნა 1411,2 ათასი ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთიდან 270,5 ათასი ლარი, ნაშთის სხვაობა 910,8 ათასი ლარი ასახულია 2015 წლის პირველი იანვრის თავისუფალ ნაშთში, რომელმაც შეადგინა ....908,5.. ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ფონდების ნაშთი არის 79,2 ათასი ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთი 829,3 ათასი ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2014 წლის წლიური ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში განისაზღვრა 11614,2 ათასი ლარი, ფაქტიურად კი გაწეულია 11113,1 ათასი ლარი, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდში გაწეულ ხარჯებს 3837,7ათასი ლარით აღემატება, 2013 წელში მუნიციპალიტეტს გაწეული აქვს მხოლოდ 7275,4 ათასი ლარის ხარჯი. 2014 წლის ხარჯები დაფინანსებულია 95,7 პროცენტით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებას, გასულ 2014 წელს სახელმწიფო ფონდებიდან შესასრულებელი იყო სულ 4593,6 ათასი ლარის სამუშაოები აქედან 2012-13 წლების ფონდებიდან დარჩენილი 1490,4 ათასი ლარი და მიმდინარე წელს გამოყოფილი 3103,2 ათასი ლარი. ფაქტიურად 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან ათვისებული იქნა 4460,4 ათასი ლარის სამუშაო, მ. შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 3678,6 ათასი ლარი, (საქ. მთ.2013 წლის 04.04. № 311 განკარგულებით 1431,0 ათასი ლარი, 2012 წლის 13.07. № 1380 განკარგულებით 5,3 ათ. ლარი, საქ. მთავრობის 2013 წლის № 972 განკარგულებით 11,0 ათასი ლარი; საქ. მთავრობის 2014 წლის 13.01. № 35 განკარგულებით 400,8 ათასი ლარი; საქ. მთავრობის 2014 წლის 13.01. № 34 განკარგულებით 1830,5 ათასი ლარი. სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 781,8 ათასი ლარი, (საქ. მთავრობის 2012 წლის 31.01. № 162 განკარგულებით 2,0 ათასი ლარი, საქ. მთავრობის 2013 წლის 17.05. 2013 № 466 განკარგულებით 29,8 ათასი ლარი, საქ. მთავრობის 2014 წლის 20.03. № 471 განკარგულებით 750,0 ათასი ლარი)

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 2070,1 ათასი ლარიდან გაწეულია 2023,4 ათასი ლარი, 97,7 %. მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2014 წელში განსაზღვრული 484,1 ათასი ლარიდან გაწეულია 4655,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,2 პროცენტით. 2013 წელთან შედარებით საკრებულოს ხარჯები გაზრდილია 31,0 ათასი ლარით.(2013 წლის საკრებულოს ხარჯებმა შეადგინა 434,6 ათასი ლარი) ხარჯების ზრდა ძირითადად გამოწვეულია შრომის ანაზღაურების, სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯების, ოფისის, წარმომადგენლობითი და სატრანსპორტო საშუალებების რემონტის ხარჯების გაზრდით, ამასთან აღსანიშნავია რომ 2014 წელს საწვავის ხარჯები 2013 წელთან შედარებით შემცირებულია 1,6 ათასი ლარით; (2013 წელს საწვავის ხარჯები იყო 28,2 ათასი ლარი და 2014 წელს 26,6 ათასი ლარი);

მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 1586,0 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1557,8 ათასი ლარი, 98,2 პროცენტით,.

2014 წელს მუნიციპალიტეტს სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 85,0 ათასი ლარით, რომელიც, საქ. საბიუჯეტო კოდექსისის მე-10 თავის 67- მუხლის 1-2 პუნქტების შესაბამისად განაწილდა სრულად და მიიმართა: იხ. დან. N 3

სოფელ მოლითში ძლიერი ქარის და წვიმის შედეგად ჩამოინგრეული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შესაკეთებლად - 28,9 ათასი ლარი;

დაბა ხარაგაულში ცხრა აპრილის ქუჩის პირველ შესახვევში ხანგრძლივი წვიმების შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლების მოსაწყობად 11,8 ათასი ლარი;

წიფის ადმინისტარციულ ერთეულში სოფელ გოლათუბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული ტორძალის მთის გზის სარეაბილიტაციოდ 1,9 ათასი ლარი;

სტიქიის შედეგად დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის შესაკეთებლად დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში სოლომონ მეფის ქუჩის პირველ ჩიხში 3,0 ათასი ლარი;

მოლითის ტ/ერთეულის სოფელ ნებოძირში კოკისპირული წვიმების შედეგად მოვარდნილი ღვარცოფით დაზიანებული გზის შესაკეთებლად 1,5 ათასი ლარი;

მოლითის ტ/ერთეულში ძლიერი ნიაღვრების შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლის მოსაწყობად 2,7 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების ხარჯებში გადატანილი იქნა 35,2 ათასი ლარი.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯების დასაფინანსებლად დაგეგმილი 464,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 457,4 ათასი ლარი, 98,6 %, მ.შ.

სახანძრო–სამაშველო სამსახურის ხარჯები დაგეგმილი 357,6 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 355,7 ათასი ლარი და დაფინანსებულია 99,5 პროცენტით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 68,6 ათასი ლარით. (2013 წელში გაწეულია 287,1 ათასი ლარი) ხარჯების ზრდა ძირითადად გამოწვეულია საქონელი და მომსახურების ხარჯების გაზრდით (მ. შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, ოფისისა და ტრანსპორტის ხარჯები)

თავდაცვის ხარჯები 106,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 101,7 ათასი ლარით, ანუ 95,5 პროცენტით, ამასთან თავდაცვის ხარჯები გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 18,9 ათასი ლარით. (2013 წელში სამხდრო სამსახურის მიერ გაწეულია 82,8 ათასი ლარი)

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები 2014 წლის წლიური შედეგების მიხედვით დაგეგმილი 4445,2 ათასი ლარიდან

დაფინანსებულია 4190,9 ათასი ლარით, 94,3 პროცენტით, ამასთან გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ინფრასტრუქტურაზე გაწეულია 1976,7 ათასი ლარით მეტი, (2013 წელში ინფრასრუქტურას მოხმარდა მხოლოდ 2214,2 ათასი ლარი), აღსანიშნავია რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინასებაში 2014 წელს მნიშვნელოვანია საკუთარი სახსრების წილი და შეადგენს 1035,5 ათას ლარს.

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 2701,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 2514,0 ათასი ლარი, ე. ი. 93 პროცენტი, გასულ 2013 წელთან შედარებით საგზაო ინფრასტრუქტურაზე დახარჯულია 1522,8 ათასი ლარით მეტი.(2013 წლი თვეში საგზაო ინფრასტრუქტურას მოხმარდა მხოლოდ 991,2 ათასი ლარი)

მათ შორის გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა–შენახვის ხარჯები დაგეგმილი 2547,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 2387,5 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია ხორციელდებოდა:

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4.04.№311 განკარგულებით და დახარჯულია 1431,0 ათასი ლარი, (აქედან ნაპირსამაგრებზე 130,1ათასი ლარი; ქუჩების მოასფალტებაზე 645,2 ათასი ლარი) ;

საქ. მთავრობის 2014 წლის № 34 განკარგულებით 1131,8 ათასი ლარი,(აქედან საპროექტო სამუშაოებზე 4,2 ათასი ლარი და ხარაგაული-ფაცხნალის გზის მოასფალტებაზე 372,2 ათასი ლარი; კიცხი - ხიდარის გზის მოასფალტებაზე 355,2 ათასი ლარი; ვარძია-წყალაფორეთის გზის მოასფალტებაზე 400,1 ათასი ლარი)

საქ. მთ. 2014 წლის № 35 განკარგულებით გამოყოფილი 143,4 ათ. ლარი მოხმარდა დაბის ქუჩების მოასფალტებას. დაბის ქუჩების მოასფალტებას საკუთარი სახსრებით ასევე მოხმარდა 14,3 ათასი ლარი.

საქ. მთავრობის 2012 წლის №972 განკარგულებით გამოყოფილი 11,0 ათასი ლარი მოხმარდა სას. გიმნაზიის ეზოსთან საყრდენი კედლის მოწყობას, ასევე საკუთარი სახსრებით ამ პროექტზე მიიმართა 39,3 ათასი ლარი;

საკუთარი სახსრებით გზების რეაბილიტაციაზე დახარჯულია 326,0 ათასი ლარი, აქედან დახრეშვაზე 239,5 ათასი ლარი და 6,6 ათასი ლარით შეძენილია საწვავი დაზიანებული გზების გასაწმენდი ტექნიკის მომსახურეობისათვის;

26,3 ათასი ლარი მოხმარდა მიკროავტობუსის სუბსიდირებას, რომელიც ემსახურებოდა დაბა ხარაგაულის მოსახლეობის ტრანსპორტირებას დაბის ცენტრიდან სოფელ თეთრწყაროს ცენტრამდე.

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე 2014 წელს უნდა გაწეულიყო 154,5 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა 126,5 ათასი ლარის სამუშაო, აქედან 43,0 ათასი ლარი საკუთარი სახსრების ხარჯზე; აღნიშნული გამოწვეულია სოფელ მაქათუბანში მშენებარე ხიდზე სამუშაოების დასრულებლების გაჭიანურებით.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 733,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 720,0 ათასი ლარი, ე.ი. 98,2 პროცენტი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კომუნალურ მომსახურეობაზე გაწეულია 365,7 ათასი ლარით მეტი. დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 284,4 ათასი ლარი სრულად იქნა ათვისებული, მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქციაზე (სახურავის რეაბილიტაცია) დაიხარჯა 27,5 ათასი ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 34,8 ათასი ლარი, გარე განათების სუბსიდირებაზე გაწეულია გეგმით და ფაქტიურად 131,6 ათასი ლარი, ხოლო ელექტრო გადამცემი ხაზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 58,8 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან,. დასუფთავების წლიურ ხარჯებში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გათვალისწინებულიიყო ერთი ნაგავმზიდანა და 50 ცალი ერთეულის ნაგვის ბუნკერის შეძენა, რომლის შეძენაც განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის სრული დაცვით.?

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი 124,8 ათასი ლარიდან 123,8 ათასი ლარი იქნა ათვისებული, აქედან 110,8 ათასი ლარი მოხმარდა პარკებისა და სკვერების სუბსიდირებას, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს 26,6 ათასი ლარით აღემატება, 8,0 ათასი ლარი მოხმარდა სოფელ უბისაში მინის შეძენას და 5.0 ათასი ლარი კი სოფ. მოლითში სკვერის მოწყობას.

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 2014 წელში 855,2 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურად მოხდა 808,1 ათასი ლარის დახარჯვა, აქედან წყლის სისტემის რეაბილიტაციას მოხმარდა 81,0 ათ. ლარი; სარტყუალო შენობების მშენებლობის დასრულებას, ინვენტარითა და ჭურჭლით

უზრუნველყოფას 213,9 ათასი ლარი; საკანალიზაციო სისტემის და სანიაღვრე არხების მონესრიგებას 24,5 ათ. ლარი, სასაფლაოებისა და თავშეყრის ადგილების მოწყობას 17,1 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაციას 233,2 ათასი ლარი; ხიდებისა და ხიდბოგირების რეაბილიტაციას 8,2 ათ. ლარი, კლუბებისა და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციას 7,8 ათასი ლარი, ტრაქტორებისა და ავტობუსის შეძენას 20,6 ათასი ლარი, მემორიალის მოწყობას 10,0 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის მოწყობას 4,5 ათასი ლარი, წისქვილების მოწყობა და აღჭურვა 12,2 ათასი ლარი, სხვადასხვა პროექტების განხორციელებას 14,1 ათასი ლარი.

2014 წელში ხარაგაულის ინფრასტრუქტურულ პროექტებს დაემატა სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამა, კერძოდ მევენახეობის სანერგე მეურნეობის დაფინანსება, რაზედაც წლის განმავლობაში დაიხარჯა 25,0 ათასი ლარი.

განათლებაზე 2014 წელში გათვალისწინებული 1698,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 1578,8 ათასი ლარი და დაფინანსებულია 93,0 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი განათლების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 550,3 ათასი ლარი სრულად იქნა ათვისებული, სკოლა–ინტერნატის სუბსიდირებაზე – 90,0 ათასი ლარი, სკოლა გიმნაზიის სუბსიდირებაზე 5,0 ათასი ლარი; კიცხის სკოლის სუბსიდირებაზე 3,0 ათასი ლარი. მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 105,9 ათასი ლარი; რაც შეეხება საბავშვო ბაღების მშენებლობის მიმდინარეობას წლიური დაგეგმილი 737,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 685,5 ათასი ლარი, მ. შ. 656,2 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდებიდან არის დაფინანსებული, აქედან:

საქართველოს მთავრობის 2013 წლის № 311 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებიდან 215,7 ათასი ლარი.

საქ. მთავრობის 2014 წლის № 34 განკარგულებით 369,8 ათასი ლარი, აქედან სოფელ ხიდრის საბავშვო ბაღის მშენებლობას მოხმარდა 101,6 ათასი ლარი; სოფელ წყალაფორეთის საბავშვო ბაღის მშენებლობას 101,5 ათასი ლარი; სოფელ ბორითის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას 160,5 ათასი ლარი; და მშენებლობის საპროექტო სამუშაოებზე დაიხარჯა 6,0 ათასი ლარი;

საქ. მთავრობის 2014 წლის № 35 განკარგულებით 70,9 ათასი ლარი; საკუთარი სახსრებით ბაღების მშენებლობას 2014 წელში მოხმარდა 28,5 ათასი ლარი;

ხოლო სხვადასხვა ინვენტარის შესაძენად სახელმწიფო ფონდებით ათვისებულია 139,7 ათასი ლარი.

სულ განათლებაზე 2014 წელში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით განეულია 707,2 ათასი ლარით მეტი ხარჯი (2013 წელში განათლებას მოხმარდა 871,6 ათასი ლარი)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი 1997,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 1933,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,8 პროცენტი, აქედან სპორტის განვითარებაზე 580,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 562,9 ათასი ლარი, საიდანაც სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 11,1 ათასი ლარი, სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე 166,6 ათასი ლარი, ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 110,7 ათასი ლარი საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა –2009“ –ის

სუბსიდირებაზე 165,0 ათასი ლარი; სპორტული კომპლექსისათვის სპორტული საქონლისა და ინვენტარის შესაძენად საქ. მთავრობის 2014 წლის 13.01.№ 35 განკარგულებით დახარჯულია 85,6 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებით სპორტკომპლექსის ეზოს კეთილმოწყობასა და სპორტული მოედნების მოწყობაზე 23,9 ათასი ლარი;

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 1200,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 1194,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 99,5 პროცენტით, აქედან:

სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 130,0 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 81,5 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 201,9 ათასი ლარი, კინოთეატრის რეაბილიტაციაზე საქ. მთ. 2013 წლის 4.04 №311 განკარგულებით 302,3 ათ. ლარი და საკუთარი სახსრებით 6,9 ათასი ლარი, ეზოს კეთილმოწყობაზე საქ. მთ. 2013 წლის 4.04 №311 განკარგულებით 115,9 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებით 49,0 ათასი ლარი მოხმარდა სხვადასხვა აპარატურის შეძენას.

ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 158,3 ათასი ლარი, ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 86,3 ათასი ლარი,ლიტერატურული თეატრის სუბსიდირებაზე 50,1 ათასი ლარი; ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობაზე 28,6 ათასი ლარი, მათ შორის გაზეთ „ახალი ხარაგაულის“ სუბსიდირებაზე 25,6 ათასი ლარი და 3,0 ათასი ლარი სატელევიზიო გადაცემაში მუნიციპალიტეტის მონაწილეობის ხარჯების ასანაზღაურებლად. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე დაიხარჯა 13,7 ათასი ლარი.

რელიგიის დაფინანსებაზე მიიმართა 134,2 ათასი ლარი, აქედან დაბის საკათედრო ტაძრის მშენებლობის სუბსიდირებაზე 68,0 ათასი ლარი და 66,2 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ეკლესიებისა და ტაძრების სუბსიდირებაზე,

სულ მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წელს 2013 წლის წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კულტურის, სპორტის, რელიგიისა და ახალგაზრდული

ღონისძიებების დაფინანსებაზე გაწეულია 509,5 ათასი ლარით მეტი, 2013 წელში აღნიშნულ ღონისძიებებზე დახარჯულია მხოლოდ 1424,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 939,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 929,1 ათასი ლარი, აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 110,8 ათასი ლარი, აქედან 98,6 ათასი ლარი მოხმარდა საზ. ჯანდაცვის სუბსიდირებას და 12,2 ათასი ლარი სოფელ ნიფაში ამბულატორიის მშენებლობას და ზვარეში საექიმო ამბულატორიის რეაბილიტაციას.

სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილი 822,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 818,3 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 91,6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 573,8 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 36,7 ათასი ლარი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად 115,2 ათასი ლარი, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვაზე 1,0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საზ.ჯანდაცვისა დაფინანსებაზე ხარჯები გაზრდილია 26,2 ათასი ლარით და სოციალური პროგრამების დაფინანსება გაზრდილია 263,6 ათასი ლარით, 2013 წელს სოციალურ პროგრამებზე დაიხარჯა 554,7 ათასი ლარი. ამასთან უნდა აღინიშნოს, სოციალურ პროგრამებზე გამოყოფილი თანხა 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 459,3 ათასი ლარით, რომელიც წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად გაზარდა 363,5 ათასი ლარით და განისაზღვრა 822,8 ათასი ლარით, ხოლო დაიხარჯა 818,3 ათასი ლარი.

2014 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სხვადასხვა საქონლის, სამუშაოს და მომსახურეობის შესყიდვის განხორციელებისათვის გაფორმებულია 422 (ოთხასოცდაორი) ხელშეკრულება, გამოცხადებულია 110 (ასათი) ელექტრონული და გამარტივებული ტენდერი, მათ შორის 27 (ოცდაშვიდი) ტენდერი არ შედგა, ხოლო 3 (სამი) ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წელში გაწეული 11113,1 ათასი ლარიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულია 4228,5 ათასი ლარი, ანუ ბიუჯეჯეტის 38,0 % და დარჩენილი 6884,6 ათასი ლარის ხარჯებიდან საკუთარი სახსრებით გაწეული ხარჯები შედადგენს 6286,1 ათას ლარს, აქედან შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 1368,0 ათასი ლარი, ე.ი.21,8 %, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 541,9 ათასი ლარი, 8,6%, მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 13,4 ათასი ლარი, 0,2%; საოფისე ხარჯების გაწევაზე 181,9 ათასი ლარი, 2,6 %, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 22,2 ათასი ლარი, 0,4%; სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 152,2 ათასი ლარი,2,4 %; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 424,7 ათასი ლარი, 6,7%; სუბსიდირებაზე 2640,5 ათასი ლარი, 42,0%, სოციალურ უზრუნველყოფაზე 919,1 ათასი ლარი,14,6 % და სხვა ხარჯების ანაზღაურებაზე 27,5 ათასი ლარი, 0,4 %.

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის
უფროსი: ვლ. გელაშვილი

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 595 51 98 12
სარედაქციო კოლეგია:
თეა ბერიძე
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.